ადრესატი:

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**47-47222979**
თარიღი: **24/10/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა ცინცაძის 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **ბიძინა ცინცაძე**

მაჟო მაჟორიტარული ოლქის დასახელება: **62-09 მაჟორიტარული ოლქი (კოხნარი,ბურნათი,**

წიფნარი, ფარცხმა, შუაფარცხმა).

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.**

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩეული წევრის შემთხვევაში) **მაჟორიტარული წესით არჩეული.62-09 მაჟორიტარული ოლქი (კოხნარი, ბურნათი. წიფნარი, ფარცხმა, შუაფარცხმა).**

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი **: საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''.**

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი; **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.**

საანგარიშო პერიოდი: **2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ნოემბრამდე.**

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე) : **მორიგი**

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა- **13 სხდომა,** სხდომებზე **დასწრება 11**.

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი- **9 სხდომა** , აქედან **დასწრება 8** სხდომაზე.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი - არა .

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა- **13 სხდომა**, აქედან **11 დასწრება.**

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები - არა .

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: **საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებია -**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი , რომელიც 2022 წელს სრულიდან ახალი დამტკიცდა.

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცება.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების განხილვა.

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონება (განკარგულებები N : 1 ; 21; 39; 45; 54; 61)

6. ინფორმაცია მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 და 2022 წლის განვლილ პერიოდში გამოვლენილი დარღვევების და პრევენციისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცება.

8. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

9. 2022 წელში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის ცნობად მიღება.

10. "სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რითაც იგი შესაბამისობაში მოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -არა.

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - **მოსახლეობასთან შეხვედრებს ვახორციელებ ყოველდღიურ რეჟიმში საჭიროებებიდან გამომდინარე, რაშიც ვგულისხმობ მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით პირველად შეხვედრებს, სადაც იგეგმება შესაბამისი აქტივობები და შემდგომ, დარგობრივ სამსახურებთან ერთად ვეძებთ გადაჭრის გზებს.**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები- **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რელიეფიდან გამომდინარე მოსახლეობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სასმელი წყლით მომარაგება, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-გამაგრება. ამასთან, არასაკმარისი კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.**

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები) - **მოსახლეობისაგან სხვადასხვა გზით მიღებული ინფორმაციის დამუშავება, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ პრიორიტეტული პროექტები. პრიორიტეტული პროექტების მერიის სამსახურებთან ერთად განხილვა და შესაძლებლობების ფარგლებში აღნიშნული პროექტის ბიუჯეტში ასახვა. როგორც მაჟორიტარი დეპუტატი კოხნარსა და ფარცხმაში და ამასთანავე საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის" კომისიის თავმჯდომარე ჩემთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. გზების რეაბილიტაციის კუთხით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, ჩვენი მიდგომა შეიცვალა - მრავალჯერადი ხრეშვის ნაცვლად, რომელიც არ იძლეოდა გრძელვადიან ეფექტს და ამასთანავე, ფინანსური კუთხით დამაზიანებელი იყო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაზიანებული მონაკვეთების ასფალტით და ბეტონით მოწყობილიყო. სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების საშუალებით, როგორც შეკეთდა, ისე გაყვანილ იქნა წყლის მომარაგების სისტემა, რამდენიმე სოფელში. შეკეთდა, რეაბილიტირდა და გამაგრდა სტიქიის შედეგად დაზიანებული გზებისა და ქანების მრავალი უბანი მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე.**

მუნიციპალიტეტის მიერ ჩოხატაურის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესაბამისად , დახმარება გაეწია ჩემს მაჟორიტარულ ოლქში მცხოვრებ მრავალ შეჭირვებულ და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარს. მერის წარმომადგენლებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ მოსახლეობისათვის მარტივად ხელმისაწვდომი გარემო, რათა მარტივი გამხდარიყო მათვის ესარგებლათ სხვადასხვა სოციალური პროგრამებით.

11. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ- **მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების დადგენა, ასევე წინა საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტად აღიარებული პროექტების მომავალ საანგარიშო პერიოდში განხორციელება. სადაც, აღსანიშნავია სოფელ ბურნათის, წიფნარისა და ფარცხმის მოსახლეობის**

წყალმომარაგების სისტემების მოწყობა. აღნიშნული სოფლები განსაკუთრებით განიცდის უწყლობის პრობლემას ვინაიდან არ არსებობს ახლო ტერიტორიაზე წყლის დებეტი. გამომდინარე აქედან აღნიშნულ სოფლებში დღემდე არ არსებობს წყლის ისეთი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის თუნდაც გრაფიკით წყალმომარაგებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ გამჭირვალე და მოსახლეობის მოთხოვნებზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ ხარჯვას.

ანგარიშის მომზადების თარიღი 20.10.202

ანგარიშის წარდგენის თარიღი 24.10 2022

ბიძინა ცინცაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავმჯდომარე